1957

პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 4 (79) მაისი 1957 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7355

შინაარსი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებანი

1. კანონი მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ.

2. კანონი საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ტექსტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

3. კანონი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

4. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ერთ სამინისტროდ—საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ გაერთიანების შესახებ.

5. ამბ. ი. ს. დოლიძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

6. ამბ. მ. ყ. ლომიძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის თანამდებობისაგან.

7. ამბ. მ. ყ. ლომიძის არჩევის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ.

8. ამბ. ს. ს. როსტიაშვილის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრად.

9. ამბ. გ. გ. თვალჭრელიძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრის თანამდებობისაგან.

10. ამბ. მ. ა. მგრელიშვილის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრად.

11. ამბ. ზ. ბ. გელდიაშვილის არჩევის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად.

12. ამბ. ს. ს. როსტიაშვილის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობისაგან.

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ამბ. ა. მ. ლაბახუას დანიშვნის თაობაზე მიღებულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამბ. კ. ს. ციმაკურიძის საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის თანამდებობისაგან განთავისუფლების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და ვაჭრობის მინისტრად ამბ. ზ. ა. კვაჭაძის დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამბ. გ. ა. ჯაბუას განთავისუფლების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

17. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამბ. კ. ს. ციმაკურიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

18. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის ამბ. ვ. გ. ქერქაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან განთავისუფლების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

19. ბრძანებულება სამხრეთ ოსეთის სომხეთისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

20. ბრძანებულება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელოვნების მუშაკთათვის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

21. ბრძანებულება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკების დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

22. ბრძანებულება რესპუბლიკის მუშა ,და სოფლის კორესპონდენტების დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

23. ბრძანებულება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 14 მუხლის „დ" და „ე" პუნქტების ცვლილების შესახებ.

24. ბრძანებულება ამბ. ა. მ. ლაბაბუას დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

25. ბრძანებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამბ. კ. ს. ციმაკურიძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის თანამდებობისაგან.

26. ბრძანებულება ამბ. გ. ა. ჯაბუას განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

27. ბრძანებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამბ. კ. ს. ციმაკურიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ.

28. ბრძანებულება ამბ. ზ. ა. კვაჭაძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და ვაჭრობის მინისტრად.

29. ბრძანებულება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის ამბ. ვ. გ. ქერქაძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან.

30. ბრძანებულება სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან ამბ. ლ. ო. დავიდოვას გამოწვევის შესახებ.

31. ბრძანებულება ამბ. ს. ს. ლორთქიფანიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსად.

32. ბრძანებულება ამბ. ვ. გ. ქერქაძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობისაგან.

33. ბრძანებულება ამბ. გ. ა. ალავიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად.

34. ბრძანებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეების ამბ. ამბ. გ. ა. ჯაბუას და ვ. გ. ქერქაძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრებად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებანი

1. კ ა ნ ო ნ

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, მთლიანად იწონებს რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის მიერ მიღებულ კანონს მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ, აღნიშნავს, რომ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებანი სავსებით შეესაბამებიან სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცებისა და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების ინტერესებს.

ტერიტორიული პრინციპის მიხედვით სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა ხელმძღვანელობის ახალი ფორმა, დარგობრივი სამინისტროებისა და უწყებების მეშვეობით მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ნაცვლად ეკონომიურ ადმინისტრაციულ რაიონებში სახალხო მეურნეობის საბჭოების შექმნა საშუალებას იძლევა სწორად იქნას შეხამებული მეურნეობის ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების ინიციატივის გაშლასთან, მათი უფლებებისა და პასუხისმგებლობის გადიდებასთან, წარმოების მართვაში მშრომელთა ფართო მასების კიდევ უფრო აქტიურ მონაწილეობასთან, მატერიალური წარმოების განუხრელ ზრდასთან, სახალხო მეურნეობის რეზერვების ყველაზე სრულ გამოყენებასთან.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მუხლი 1. მოწონებულ იქნას საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ შემუშავებული ღონისძიებანი საქართველოს სს რესპუბლიკაში, როგორც ერთ ეკონომიურ ადმინისტრაციულ რაიონში, მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის სრულყოფისათვის.

მუხლი 2. საქართველოს სს რესპუბლიკაში მრეწველობისა და მშენებლობის მართვისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ქმნის სახალხო მეურნეობის საბჭოს შემდეგი შემადგენლობით: სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე, სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები და წევრები.

დაწესდეს, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსადმი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით შეიძლება დანიშნოს მინისტრად და შეივიდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში.

მუხლი 3. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო მთელ თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმიანობაში უშუალოდ ექვემდებარება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

მუხლი 4. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს დადგენილებებსა და განკარგულებებს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა საფუძველზე და მათ შესასრულებლად.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა გაუქმება შეუძლია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

მუხლი 5. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

მუხლი 6. გაუქმდეს საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტრო და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი და მათს ბაზაზე შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მშენებლობის მთავარი სამმართველო.

მუხლი 7. მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნასთან დაკავშირებით გაუქმდეს საქართველოს სსრ შემდეგი სამინისტროები:

სასურსათო საქონლის მრეწველობისა;

ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობისა;

საშენ მასალათა მრეწველობისა;

მსუბუქი მრეწველობისა;

საფეიქრო მრეწველობისა;

სატყეო მრეწველობისა.

მუხლი 8. გაუქმებულ სამინისტროთა გამგებლობაში არსებული საწარმოები და ორგანიზაციები, აგრეთვე საქართველოს სსრ არასამრეწველო სამინისტროთა გამგებლობაში არსებული საწარმოები გადაეცემულ იქნას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მშენებლობის მთავარი სამმართველოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების უშუალო გამგებლობაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სიის მიხედვით.

მუხლი 9. დაეკალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამ კანონის შესაბამისად დაადგინოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მშენებლობის მთავარი სამმართველოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების გამგებლობაში იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა, აგრეთვე მოწყობილობის, ნედლეულისა და სხვა ფასეულობათა გადაცემის წესი და ვადები, რომლებიც გაუქმებულ და არასამრეწველო სამინისტროთა გამგებლობაშია.

მუხლი 10. დაეკალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმოკლეს ვადებში უზრუნველყოს სამინისტროთა და უწყებათა აპარატებიდან განთავისუფლებული მუშაკების მოწყობა სამუშაოზე, ამასთან გამოიჩინოს საჭირო ყურადღება და ზრუნვა.

მუხლი 11. შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტი და დაეკისროს მას სამამულო და უცხოეთის მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, აგრეთვე წარმოების მოწინავე გამოცდილების შესწავლა, ამ მიღწევათა ფართო პროპაგანდის განხორციელება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის გამოცემა და სახალხო მეურნეობაში ახალი ტექნიკის განვითარებისა და დანერგვისადმი კონტროლი.

მუხლი 12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში დამტკიცით შეყვანილ იქნან ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარე და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსი.

დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსადმი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წარდგენებით შეიძლება დაინიშნონ მინისტრებად და შევიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში.

მუხლი 13. დაწესდეს, რომ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის გარდაქმნა, რაც გათვალისწინებულია ამ კანონით, უნდა განხორციელდეს 1957 წლის 1 ივლისამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1957 წ. 29 მაისი.

2. კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ტექსტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

„მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ კანონის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ტექსტში:

მუხლი 1. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 14 მუხლის პუნქტები „თ“, „ი“ და „მ“ ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„თ) ამტკიცებს საქართველოს სსრ-ის სახალხო-სამეურნეო გეგმას, სახელმწიფო ბიუჯეტს და მისი შესრულების ანგარიშს“.

„ი) ქმნის ეკონომიურ ადმინისტრაციულ რაიონებს“.

„მ) განაგებს და ხელმძღვანელობს რესპუბლიკის მრეწველობასა და მშენებლობას, ბანკებს, სასოფლო-სამეურნეო და სავაჭრო დაწესებულებებსა და საწარმოებს“.

მუხლი 2. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 48 მუხლის პუნქტები „ა“ და „ე“ ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ა) აერთიანებს და წარმართავს საქართველოს სსრ-ის სამინისტროებისა და თავის ქვემდებარე სხვა დაწესებულებათა მუშაობას, ახორციე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებს ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოების ხელმძღვანელობას“.

„ე) ქმნის ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოებს, აუცილებლობის შემთხვევაში, საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოსთან სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საქმეთა სპეციალურ კომიტეტებს და მთავარ სამმართველოებს“.

მუხლი 3. საქართველოს სსრ კონსტიტუციის მუხლი 49 ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 49. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფლება აქვს შეაჩეროს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებანი და განკარგულებანი, გააუქმოს ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი, ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭოს დადგენილებანი და განკარგულებანი, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა ბრძანებები და ინსტრუქციები“.

მუხლი 4. საქართველოს სსრ კონსტიტუციის მუხლი 50 ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 50. საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭო ქმნის საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები;

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები;

საქართველოს სსრ მინისტრები;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსი;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები თანამდებობის მიხედვით“.

მუხლი 5. საქართველოს სსრ კონსტიტუციის მუხლი 55 ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 55. საქართველოს სსრ-ის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები არიან სამინისტროები:

ვაჭრობისა;

თავდაცვისა;

კავშირგაბმულობისა;

კულტურისა;

საგარეო საქმეთა;

სახელმწიფო კონტროლისა;

სოფლის მეურნეობისა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფინანსთა;
შინაგან საქმეთა;
ჯანმრთელობის დაცვისა".

მუხლი 6. საქართველოს სსრ კონსტიტუციის მუხლი 56 ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 56. საქართველოს სსრ-ის რესპუბლიკური სამინისტროები არიან სამინისტროები:

ადგილობრივი მრეწველობისა;
განათლებისა;
იუსტიციისა;
კომუნალური მეურნეობისა;
საავტომობილო ტრანსპორტისა;
სოციალური უზრუნველყოფისა;
წყალთა მეურნეობისა".

მუხლი 7. შეივსოს საქართველოს სსრ კონსტიტუცია შემდეგი შინაარსის მუხლით 58-ა.

„**მუხლი** 58-ა. საქართველოს სსრ ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოები ხელმძღვანელობენ სამეურნეო საქმიანობის მათთვის დაკისრებულ დარგებს, უშუალოდ ექვემდებარებიან რა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემენ დადგენილებებს და განკარგულებებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა საფუძველზე და მათ შესასრულებლად".

მუხლი 8. საქართველოს სსრ კონსტიტუციის მუხლი 72 ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„**მუხლი 72.** ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ქმნის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შემდეგი შემადგენლობით:

ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;
ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მინისტრები;
სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე;
მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს უფროსი;
ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 29 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. კანონი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 20 მაისის ბრძანებულება „საქართველოს სსრ კონსტიტუციის 14 მუხლის „დ“ და „ე“ პუნქტების ცვლილების შესახებ“.

ამ ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ კონსტიტუციის 14 მუხლის „დ“ პუნქტიდან ამოღებულ იქნას სიტყვები „ახალი ოლქების, აგრეთვე“ და „ე“ პუნქტს დაემატოს სიტყვები „ოლქების“, „საოლქო“ და ეს პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„დ) წარუდგენს დასამტკიცებლად სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს ახალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების შექმნას საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში“.

„ე) აწესებს ოლქების, რაიონების, სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოების საზღვრებს და ქმნის ახალ საოლქო, რაიონულ, სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოებს; ამტკიცებს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ ების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების დადგენილებებს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებს ახალი სასოფლო, სადაბო, საქალაქო საბჭოების, მსხვილ ქალაქებში რაიონული საბჭოების შექმნისა და მათი საზღვრების შეცვლის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 29 მაისი.

4. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ერთ სამინისტროდ—საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ გაერთიანების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

გაერთიანდეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო ერთ სამინისტროდ—საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 29 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ამხ. ი. ს. დოლიძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

განთავისუფლდეს ამხ. ისიდორე სამსონის-ძე დოლიძე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 29 მაისი.

6. ამხ. მ. ყ. ლომიძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის თანამდებობისაგან

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

განთავისუფლდეს ამხ. მიხეილ ყარამანის-ძე ლომიძე საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის თანამდებობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 29 მაისი.

7. ამხ. მ. ყ. ლომიძის არჩევის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

არჩეულ იქნას ამხ. მიხეილ ყარამანის-ძე ლომიძე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 29 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. ამხ. ს. ს. როსტიაშვილის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრად

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დანიშნოს ამხ. სერგი საბას-ძე როსტიაშვილი საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 29 მაისი.

9. ამხ. გ. გ. თვალჭრელიძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრის თანამდებობისაგან

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

განთავისუფლდეს ამხ. გიორგი გრიგოლის-ძე თვალჭრელიძე საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრის თანამდებობისაგან მისი პენსიაზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 29 მაისი.

10. ამხ. მ. ა. მეგრელიშვილის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრად

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დანიშნოს ამხ. მამია ამბერკის-ძე მეგრელიშვილი საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 29 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. ამხ. ზ. ბ. გელდიაშვილის არჩევის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნას ამხ. ზაალ ბესარიონის-ძე გელდიაშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად და განთავისუფლდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივნის მაგიერ — **ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 29 მაისი.

12. ამხ. ხ. ხ. როსტიაშვილის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობისაგან

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

განთავისუფლდეს ამხ. სერგი საბას-ძე როსტიაშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივნის მაგიერ — **ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 29 მაისი.

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ამხ. ა. მ. ლაბახუას დანიშვნის თაობაზე მიღებულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. არქიპო მირონის-ძე ლაბახუას დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 29 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. კ. ს. ციმაკურიძის საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის თანამდებობისაგან განთავისუფლების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. კონდრატ სოკრატის-ძე ციმაკურიძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის თანამდებობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1957 წლის 29 მაისი.

15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და ვაჭრობის მინისტრად ამხ. ზ. ა. კვაჭაძის დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ზინაიდა არსენის ასულ კვაჭაძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და ვაჭრობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1957 წ. 29 მაისი.

16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. გ. ა. ჯაბუას განთავისუფლების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებულება ამხ. გიორგი ანდრიას-ძე ჯაბუას განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 29 მაისი.

17. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. კ. ს. ციმაკურიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. კონდრატ სოკრატის-ძე ციმაკურიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 29 მაისი.

18. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის ამხ. ვ. გ. ქერქაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან განთავისუფლების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის ამხ. ვლადიმერ გიორგის-ძე ქერქაძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 29 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

19. ბრძანებულება „სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

ოსური და ქართული სასიმღერო და ქოროგრაფიული ხელოვნების განვითარების საქმეში დამსახურებისათვის დაჯილდოვდეს სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 29 აპრილი.

20. ბრძანებულება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელოვნების მუშაკთათვის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ოსური და ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარების საქმეში დამსახურებისათვის და ქალაქ თბილისში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადასთან დაკავშირებით, მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა:

1. გაგლოევას ზინაიდა ალექსანდრეს ასულს — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, კ. ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრის მსახიობს
2. ცხვირაშვილს იოსებ დავითის-ძეს — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, კ. ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრის მსახიობს
3. ჯატიევას სოფიო მიხეილის ასულს — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, კ. ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა:

1. პლიევს ვასილ სოსლანის-ძეს — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დირიჟორს

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სანაკოევს ბორის იოსების-ძეს — მხატვარს, საქართველოს საბჭოთა მხატვართა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების თავმჯდომარეს

3. შატბერაშვილს ლევან ივანეს-ძეს — კ. ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრის მთავარ რეჟისორს

4. ხახანოვს დუდარ სოლომონის-ძეს — კომპოზიტორს, სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მხატვრულ ხელმძღვანელს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა:

1. ბიტიევს უმარ გაბრიელის-ძეს — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტს
2. გაგლოევას მანია თევდორეს ასულს — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტს
3. გაგლოევას ბარბალე ალექსანდრეს ასულს — კ. ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრის მსახიობს
4. გაგლოევს ხაზბი თევდორეს-ძეს — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტს
5. გელდიევს ანდრია ილიას-ძეს — კ. ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრის მსახიობს
6. ენალდიევს ვახტანგ დავითის-ძეს — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტს
7. მარგიევს გიორგი პეტრეს-ძეს — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტს
8. მარგიევს სოსლან გიორგის-ძეს — კ. ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრის მსახიობს
9. მედოევას ზარეტა სტეფანეს ასულს — კ. ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრის მსახიობს
10. პარასტაევს დიმიტრი ვასილის-ძეს — კ. ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრის მსახიობს
11. პატარიძეს გერონტი მელიტონის-ძეს — კ. ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრის მსახიობს
12. საჩალელს ვლადიმერ დიმიტრის-ძეს — კ. ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრის მსახიობს
13. ტაუგაზოვს გაბრიელ დანიელის-ძეს — ჩრდილოეთ-ოსეთის ასსრ დამსახურებულ არტისტს, კ. ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრის მსახიობს
14. ჩიბიროვს ვლადიმერ სარდიონის-ძეს — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტს
15. ჩოჩიევას ნინო ზაქარიას ასულს — კ. ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრის მსახიობს
16. ხეთაგუროვს ვლადიმერ მიხეილის-ძეს — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტს

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. ჯატიევს ვასილ ილიას-ძეს — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ქორეოგრაფს
18. ჯოგკაევს აკიმ ეფრემის-ძეს — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ს. როსტიაშვილი.**

კ. თბილისი.
1957 წ. 29 აპრილი.

21. ბრძანებულება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკების დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

ოსური და ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარების საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის და ქ. თბილისში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადასთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. ამაშუკელი კონსტანტინე დავითის-ძე — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი
2. ბახტაძე ნიკოლოზ ვასილის-ძე — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტმეისტერი
3. ბაგაევი თევდორე მათეს-ძე — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი
4. ბიჭიკაშვილი გრიგოლ იოსების-ძე — კ. ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრის მსახიობი
5. გაბარაევი ვიქტორ კონსტანტინეს-ძე — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი
6. გაბაშვილი თინა გიორგის ასული — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი
7. გაგლოევი ვლადიმერ მიხეილის-ძე — მწერალი
8. გოგიჩაევი ივანე ვლადიმერის-ძე — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი
9. გუსალოვა ზალიხან ალექსანდრეს ასული — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი
10. დარბუაშვილი ივანე სერგის-ძე — კ. ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრის მსახიობი
11. დოგუზოვი გიორგი ვასილის-ძე — ბახტავარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. ვალიევი ალექსი ქრისტეფორეს-ძე — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობი
13. ზაარუდნაია გალინა ალექსანდრეს ასული — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი
14. იარალოვა ეკატერინე ვასილის ასული — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი
15. კაბისოვი გრიგოლ არსენის-ძე — კ. ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრის რეჟისორი
16. კაბულოვი გრიგოლ დავითის-ძე — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი
17. კალმიკოვა ლილი ივანეს ასული — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი
18. კოკოევი გრიგოლ გაბრიელის-ძე — კ. ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრის მსახიობი
19. კოკოევი ვასილ ნიკოლოზის-ძე — მხატვარი
20. კოკოევი ვარდენ სპირიდონის-ძე — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი
21. კოკოევი კონსტანტინე ალექსის-ძე — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი
22. კოტაევი პეტრე დავითის-ძე — კ. ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრის მკერავი
23. კოჩიევი ფილუშ ანტონის-ძე — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი
24. კოჩიევი სოსლან დიმიტრის-ძე — მხატვარი
25. კოხტაშვილი ნუნუ დიმიტრის ასული — კ. ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრის მსახიობი
26. ლოლაძე თინა ალექსანდრეს ასული — კ. ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრის მსახიობი
27. მაკიევა იულია ვასილის ასული — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ორკესტრანტი
28. მეზურნოვი ვაგარშაკ ისაკის-ძე — მხატვარი
29. მულდაროვი გრაფ სიმონის-ძე — კ. ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრის დირექტორის მოადგილე
30. ნეკერიშვილი პავლე ვლადიმერის-ძე — მხატვარი
31. პლიევა რაისა გრიგოლის ასული — კ. ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრის მსახიობი
32. სანაკოევი ხაზბი გიორგის-ძე — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი
33. სიუკაევი ოთარ დიმიტრის-ძე — სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივის ხელმძღვანელი

7 35

ეროვნული ბიბლიოთეკა

34. ტარალაშვილი ელისაბედ ვასილის ასული — კ. ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრის მსახიობი
35. ტეხოვი ზაურბეგ ნიკოლოზის-ძე — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი
36. ტიგიევა ზემირა ექვთიმეს ასული — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი
37. ქელეხსაევი ფირუზ ივანეს-ძე — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი
38. შავლოხოვი მელსიკ მუხტარის-ძე — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი
39. შერაზადეშვილი იასონ ილიას-ძე — კ. ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრის სცენის უფროსი ბრიგადირი
40. ჩოჩიევი კადზახმატ ნიკოლოზის-ძე — კ. ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრის მსახიობი
41. ცაბოლოვი კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე — ქორეოგრაფი
42. ცაკაევი ხუმე ხაკასის ასული — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის გარმონისტი
43. ცხოვრებოვი ზემირა ივანეს ასული — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მოცეკვავე
44. ძაგოევი გიორგი რომანის-ძე — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი
45. ძუგაევი გიორგი ხასაკის-ძე — მწერალი
46. ჯატიევი სოსკო ალექსის-ძე — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ადმინისტრატორი
47. ჯიგკაევი როსტომ იოსების-ძე — კ. ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრის სამუზეუმო ნაწილის გამგე
48. ჯიგკაევი ივანე გრიგოლის-ძე — კ. ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრის მსახიობი
49. ჯიოევი ოთარ სერგის-ძე — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი
50. ჯიოევი ვალენტინა არტემის ასული — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი
51. ჯიოევი მუხტარ ნესტორის-ძე — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ორკესტრანტი
52. ჯუსოევი ნიფი გრიგოლის-ძე — მწერალი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 29 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

22. ბრძანებულება რესპუბლიკის მუშა და სოფლის კორესპონდენტების დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

ბეჭდვითი სიტყვის დღესასწაულთან დაკავშირებით, პრესაში ხანგრძლივი და აქტიური მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით რესპუბლიკის მუშა და სოფლის შემდეგი კორესპონდენტები:

1. ალბოროვი სიბისტორე სანდროს-ძე — კვაისის მაღაროთა სამმართველოს მეარმატურეთა და ზენინკალთა ბრიგადირი
2. ბერუჩეკი არჩილ დავითის-ძე — გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ლითონსამსხმელო № 2 საამქროს უფროსის თანაშემწე
3. ბულგაკოვი ანტონ დიმიტრის-ძე — სტალინირის მექანიკური ქარხნის სამსხმელო საამქროს უფროსი
4. ბუხაიძე ივანე ივლიანეს-ძე — პენსიონერი, ქ. ქუთაისი
5. გაგლოევი დავით ალექსანდრეს-ძე — პენსიონერი, ქ. სტალინირი
6. დიმიტრიევა ინესა მიხეილის ასული — ფაბრიკა „საქტრიკოტაჟის“ საგეგმო-საწარმოო განყოფილების ინჟინერი
7. ზარანდია მამია კადოს-ძე — ოჩამჩირის რაიონის მოქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის აგრონომი
8. თულაშვილი ირაკლი დავითის-ძე — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო რესპუბლიკური მეთოდიური კაბინეტის უფროსი მეთოდისტი
9. იტრიევი ნიკოლოზ იაკობის-ძე — პერსონალური პენსიონერი, ქ. თბილისი
10. კობერიძე ვარდიშ გიორგის ძე — ი. ბ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროს ობერ-ოსტატი
11. მიქაშავიძე ნიკოლოზ ვარლამის-ძე — სოხუმის დრამატული თეატრის მსახიობი
12. მურადიანი აკოფ მანუკის-ძე — ახალქალაქის რაიონის სოფელ ბუზაევეთის კოლმეურნეობის აგროტექნიკოსი
13. პეტროსიანი არშალუის გრიგოლის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის დისტანციის უფროსი ინჟინერი
14. ფანტულაია ამორან სოლომონის-ძე — ი. ბ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადე
15. ჩერკეკოვი ნაუმ იულის-ძე — ი. ბ. სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის უფროსი ინჟინერი გამომგონებლობის დარგში
16. ჭუხრუკიძე თევდორე აბრაამის-ძე — გორის რაიონის სოფელ კარალეთის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. ხაგბა ალექსი — გუდაუთის რაიონის აკანდარის სასოფლო ბასას-ძე კლუბის გამგე
18. ჯინჭარაძე გული — ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის ვ. მ. მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ჩაის ფოთლის მკრეფავი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი
1957 წ. 4 მაისი

23. ბრძანებულება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 14 მუხლის „დ“ და „ე“ პუნქტების ცვლილების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1957 წლის 11 თებერვლის კანონის „საოლქო, სამხარეო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხთა გადაჭრის მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის მიკუთვნების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 14 მუხლის „დ“ პუნქტიდან ამოღებულ იქნას სიტყვები „ახალი ოლქების, აგრეთვე“ და „ე“ პუნქტს დაემატოს სიტყვები „ოლქების“ და „საოლქო“ და ეს პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„დ) წარუდგენს დასამტკიცებლად სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს ახალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების შექმნას საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში“.

„ე) აწესებს ოლქების, რაიონების, სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოების საზღვრებს და ქმნის ახალ საოლქო, რაიონულ, სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოებს; ამტკიცებს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ-ების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების დადგენილებებს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებს ახალი სასოფლო, სადაბო, საქალაქო საბჭოების, მსხვილ ქალაქებში რაიონული საბჭოების შექმნისა და მათი საზღვრების შეცვლის შესახებ“.

2. ეს ბრძანებულება წარედგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიას დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 20 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

24. ბრძანებულება ამხ. ა. მ. ლაბახუას დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ

დაინიშნოს ამხ. არქიპო მირონის-ძე ლაბახუა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წლის 21 მაისი.

25. ბრძანებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. კ. ს. ციმაკურიძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის თანამდებობისაგან

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. კონდრატ სოკრატის-ძე ციმაკურიძე განთავისუფლდეს საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის თანამდებობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 21 მაისი.

26. ბრძანებულება ამხ. გ. ა. ჯაბუას განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან

განთავისუფლდეს ამხ. გიორგი ანდრიას-ძე ჯაბუა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 21 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

27. ბრძანებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. კ. ს. ციმაკურიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ

დანიშნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. კონდრატ სოკრატის-ძე ციმაკურიძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 21 მაისი.

28. ბრძანებულება ამხ. ზ. ა. კვაჭაძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და ვაჭრობის მინისტრად

დანიშნოს ამხ. ზინაიდა არსენის ასული კვაჭაძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და ვაჭრობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 21 მაისი.

29. ბრძანებულება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის ამხ. ვ. გ. ქერქაძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ამხ. ვლადიმერ გიორგის-ძე ქერქაძე განთავისუფლდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 21 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

30. ბრძანებულება სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან ამხ. ლ. ო. დავიდოვას გამოწვევის შესახებ

მიიღო რა მხედველობაში საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს წინადადება ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო მოსამართლის ამხ. ლ. ო. დავიდოვას გამოწვევის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

გამოწვეულ იქნას ამხ. ლუსია ოგანეზის ასული დავიდოვა საქართველოს სსრ ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 21 მაისი.

31. ბრძანებულება ამხ. ს. ს. ლორთქიფანიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსად

დანიშნოს ამხ. სიმონ სერგეი ანეს-ძე ლორთქიფანიძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი
1957 წ. 1 ივნისი.

32. ბრძანებულება ამხ. ვ. გ. ქერქაძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობისაგან

განთავისუფლდეს ამხ. ვლადიმერ გიორგის-ძე ქერქაძე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 1 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

33. ბრძანებულება ამხ. გ. ა. ალავიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად

დაინიშნოს ამხ. გიორგი არტემის-ძე ალავიძე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 1 ივნისი.

34. ბრძანებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეების ამხ. ამხ. გ. ა. ჯაბუას და ვ. გ. ქერქაძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრებად

დაინიშნონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. გიორგი ანდრიას-ძე ჯაბუა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვლადიმერ გიორგის-ძე ქერქაძე საქართველოს სსრ მინისტრებად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 1 ივნისი.